

პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა“ მონაწილეობა მიიღო ფორუმში „ამერიკული ბიზნესი საქართველოში“

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ გენერალურმა დირექტორმა იორგ მათიესმა ფორუმში „ამერიკული ბიზნესი საქართველოში“ , მონაწილეობა მედიატორის სტატუსით მიიღო. ფორუმში ამერიკის სავაჭრო პალატისა და საერთაშორისო სავაჭრო პალატის მხარდაჭერით გაიმართა.

„ჯი-აი-ჯის“ გენერალურმა დირექტორმა ორგ მათიესმა კომპანიის სამომავლო და მიმდინარე სტრატეგიულ პროექტებზე , ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო გარემოსა და გამოწვევებზე ისაუბრა. მისივე თქმით მსგავსი ღონისძიებები კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან კარგი შესაძლებლობაა, ფართო საზოგადოებას გააცნოს სტრატეგიული პროექტებისა და გეგმების შესახებ. იორგ მათიესმა კომპანიის მხრიდან დაგეგმილ სიახლეებზეც გაამახვილა ყურადღება.

ღონისძიებაში მონაწილეობა ქართული და უცხოური კომპანიების პირველმა პირებმა მიიღეს , რომლებმაც ბიზნესში და სავაჭრო ურთიერთობებში მოსალოდნელ და შესაძლო ცვლილებებზე ისაუბრეს .

მედიატორებს შორის იყვნენ ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი საქართველოში ,საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტი, „ჯორჯიან მარგანეზის“ გენერალური დირექტორი , „აჭარა გრუპ ჰოსპიტალიტის“ განვითარების დირექტორი.

ფორუმი „ამერიკული ბიზნესი საქართველოში „ THE FINANCIAL-ის ორგანიზებით გაიმართა.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას.

